



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000045635669918

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა:akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 26

07 / მაისი / 2018 წ.

დადგენილება

„ახმეტის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 6 ოქტომბრის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ახმეტის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 6 ოქტომბრის № 51 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge,09/10/201010250050.35.162.016268) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ს მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ახმეტის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდებას ანიჭებს მუნიციპალიტეტის მერი.“

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ს მე-3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს;“

3. დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ს მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5

„1. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფი 7 (შვიდი) წევრის შემადგენლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, იხილავს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლების შესაბამისად წარმოდგენილ მასალებს. მათი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემთხვევაში წინადადებას და ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის პროექტს წარუდგენს მერს.“

2. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის მერი გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს, ახმეტის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების შესახებ.“

4. დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ს მე-6 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ახმეტის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის მონაცემები შეტანილი იქნება „ახმეტის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წიგნში“, რომელიც ინახება მუნიციპალიტეტის მერიაში.“

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. „ახმეტის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წიგნს“, ბრძანებით ამტკიცებს მერი.“

5. დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ს მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ახმეტის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების ჩამორთმევის უფლება აქვს ახმეტის მუნიციპალიტეტს მერს შესაბამისი დროებითი სამუშაო ჯგუფის დასკვნის საფუძველზე.“

6. დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ს მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8

ახმეტის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის დამადასტურებელი მონმობის დამზადებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერია.“

7. დადგენილებით დამტკიცებული დანართი N2 ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

მუხლი 2.

დადგენილება გამოქვეყნდეს გამოქვეყნებისთანავე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

თ 

თამარ ყვინიშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საპატო მოქალაქის მოწმობის ფორმა

(ახმეტის მუნიციპალიტეტის გერბი)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საპატო მოქალაქის
მოწმობა

ახმეტის მუნიციპალიტეტის საპატო მოქალაქის წოდება მიენიჭა

ბატონ /ქალბატონ -----
სახელი გვარი

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის 20.. წლის -----N---- ბრძანებით.

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერი:

